№ 183. 17 სეკტემბერი, შაბათი. 1866—1883 17 სეკტემბერი, შაბათი. № 183.

# დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე. [illegible]

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მაქვს პატივი გამოვუცხადო პატივცემულს ქართველთ საზოგადოებას, რომ მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს მეზარხოსი პავლე აკურთხებს ქალაქს გორში ახლად-აშენებულს ღვთის-მშობლის ოქონის ეკლესიასა 25 სექტემბერსა ამა 1883 წელსა.

ბლაღოჩინი მღვდელი მიხეილ ნასყიდოვი.

(6—2)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

15 სექტემბერს.

პეტერბურგი. 13 სექტემბერს სოფიაში გამართეს ბანკეტი სობოლევის და კაულბასის პატივ-საცემლად; მიტროპოლიტმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ბულგარიის მფარველის და დამამშვიდებელის რუსეთის მეფისა, მინისტრმა ბალაბანოვმა—იმ რუსებისა, რომელნიც ბულგარიის სასარგებლოდ შრომობდენ; საზოგადოდ ბანკეტსა ჰქონდა ხასიათი რუსეთის თანაგრძნობისა. ამის შესახებ «ჟურნალ დესან-პეტერბურ» ამბობს: «სოფიაში გრძნობენ საჭიროებას დაჰფარონ თვისნი მოქმედებანი რუსეთის სახელითა იმ ასრით, რომ ამ სახით ხელთ იგდონ ბულგარიის ხალხის თანაგრძნობა,—ამ გვარი მოქმედება მაინც მოვალეუდ ჰყოფს მათ, არ იქმნან გატაცებულნი და წინადვე მისი შედეგი განირიდონ. რუსეთმა ასე ცხადათ გამოხატა თვისი უკმაყოფილება, იმიტომ რომ მას ჰსურს ბულგარიის წარმატება; მას უნდა მხოლოდ ის, რომ ბულგარია მშვიდობიანად სარგებლობდეს იმ სიკეთით, რომელიც მიანიჭა მას რუსეთის იარაღმა, და იმისთანა არა ჩაიდინოს რა, რაიცა ავნებს მის საკუთარს წარმატებას და შეარყევს სხვათა მშვიდობიანობას შემდეგ გაზეთი ამტკიცებს თავის აზრს შესახებ სოფიაში მიღებულ მოქმედებისა და განაგრძობს: «დემონსტრაცია რუსეთის პატივსაცემლად ამტკიცებს, რომ სოფიაში გრძნობენ სიძნელეს თვისის მდგომარეობისას და თუ ეს ასეა, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ბულგარიის მთავარი და მმართებლობა თვით ამ საქმის სიძნელეში ჰპოვებენ მის განსახორციელებლად საჭირო ძალას, ზომიერებას და თანხმობას. ყველაზედ უფრო რუსეთს იამება, თუ სამთავრო აიცილებს თავიდამ ახალს გაჭირვებულს მდგომარეობას,—ჯერ-ჯერობით ყველა ეს სურვილია და მომავალი გვიჩვენებს, ყოველივე ესე შესრულდება, თუ არა».

ზაგრები. გუშინ დაიწყო განსამართლება იმ პირთა, რომელნიც ერივნენ უკანასკნელს უწესოებებში.

კონსტანტინოპოლე. კადიკიოს მახლობლად, სადაც უმეტესად ევროპიელნი სცხოვრებენ, გადიწვა 14 სექტემბერს თითქმის 300 სახლი; ზარალი 6 მილიონი ფრანკისა არის.

მიუნხენი. ბისმარკი ზალცბურგიდამ ბერლინში წავიდა.

ჰამბურგი. მეხთარ-ფაშას წითელი არწივის ორდენი ებოძა.

ვენა. რუმინის მინისტრ-პრეზიდენტს ბრატიანოს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა კალნოკისთან. აქ მოვიდა პრინცი ალექსანდრე ჰესენელი.

თბილისი, 16 სექტემბერს.

ჩვენის გაზეთის ზოგიერთს №№-ში მოხსენებული იყო, თუ როგორ ეპყრობიან ამ ჟამად სოფლელები სხვა-და-სხვა ვაჭრებს, რომელნიც ყოველს საშუალებასა ხმარობენ სოფლელების შესავიწროებლად და გასაცარცვავად. მოყვანილი ცნობები ცხადად გვიჩვენებენ, თუ როგორ უყურებს ხალხი ამათ... წარმოიდგინოთ, თუ რა ყოფას აყენებენ სოფელ-სოფელ მაწანწალა და აქა-იქ ჩათესლებული მოვაჭრეები ღარიბს და უმეცარს ხალხს. . . მივა წვრილმან ვაჭრობაში დაოსტატებული კაცი სოფელში, სადაც მას მოცილე არავინა ჰყავს, სადაც ხალხი მოკლებულია საშუალებას თავის ნაწარმოების გავრცელებისას და სამაგიეროდ საჭირო ნივთების შეძენისას. ამ გვარი სტუმარი, როგორც გამოცდილი კაცი, კავშირს და მოყვრობას დაიჭერს ადგილობრივ შეძლებულებთან, სოფლის მთავრობასთან და მასუკან შეუდგება ხალხის ყვლეფას . . . შემჩერებელი მას არავინ აღმოუჩნდება და იგი დაუბრკოლებლივ განაგრძობს თავის მოქმედებას. რა დარჩენია ხალხს ამ გვარი განსაცდელის თავიდამ ასაცდენად? ვის და რას უნდა მიმართოს მან? ამ შემთხვევაში ჩვენს ხალხს ვერავინა შველის გარდა საკუთარის თავისა და მოსაზრებისა; იგი იძულებულია წინ აღუდგეს და . . . მოუსპოს მათ ყვლეფის . . . საშუალება საერთო პირობის დადგენით, რომ იმათთან არა ივაჭრონ-რა; ეს საშუალება ხანდისხან თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევს, რადგანაც ხშირად აღმოჩნდება პირობის გამტეხელი. . .

როგორცა სჩანს ქასპიდამ და ხევიდამ მოწერილ ცნობებიდამ, ხალხი

«დროების» ფელეტონი, 17 სექტემბ.

### მწყერი

(ბავშვობის შთაბეჭდილება)

(მოთხრობა ტურგენიევისა*)

მე ათის წლისა ძლივს ვიყავ, როდესაც ეს ამბავი დამემართა, რასაც ეხლა გიამბობთ.

ეს იყო ზაფხულში. მე და მამაჩემი ვცხოვრებდით ერთს სამხრეთ-რუსეთის მამულში. ჩვენს გარეშემო, რამდენიმე ვერსის სიშორეზედ, ტრიალი მინდორი იყო; არსად ტყე, არსად მდინარე. აქა-იქა მინდორს ზოლებსავით მისდევდენ ოდნავ ჩაღრმავებული ხევები, რომელნიც მწვანე გველებსავით იკლაკნებოდენ. ხევებში წყალი ჩამოდიოდა. ალაგ-ალაგ, ფერდობებზედ, პატარა ანკარა წყაროები გამოჩანჩქარებდენ და ამ წყაროებამდის ყველგან ბილიკი მისდევდა. წყაროების პირს, სველს ქვიშაზე, ერთმანერთში არეულიყო კვალი ფრინველებისა და სხვა წვრილი პირუტყვებისა. ადამიანებსავით პირუტყვებსაც უყვართ კარგი, წმინდა წყალი.

მამა-ჩემს ნადირობა საშინლად უყვარდა. როცა კი მოიცლიდა და ამინდი კარგი იყო, აიღებდა თოფსა, გადიგდებდა მხარზედ სანადირო პარკსა, დაუშტვენდა თავის ტრეზორას და გასწევდა მწყრებსა და კაკბებზედ. მამაჩემს კურდღლობა არ უყვარდა; კურდღლები,—ამბობდა ის ზიზღით,—იმათთვის დამითმია, ვისაც ნადირის უკან დევნა უყვარს. გარდა მწყრებისა და კაკბებისა, შემოდგომაზედ ღალღებიც გაივლიდენ ხოლმე ჩვენს მხარეზედ. ამათ მეტს სანადირო ფრინველს ვერასა ნახავდით.

მაგრამ მწყრები და კაკბები კი ბევრი იყო, მეტადრე კაკბები. ფერდობებზედ, ყოველ ნაბიჯზედ, შეხვდებოდით ამოთხრილს მიწას, სადაც ეს ფრინველები ისხდენ ხოლმე. მაშინვე ტრეზორა შესდგებოდა, კუდი აუკანკალდებოდა, შუბლზედ კანი დაეძროდა, მამაჩემს ნაცრის ფერი გადაჰკრავდა და ფეხზედ შემოსვავდა ხოლმე ჩახმახს.

მამაჩემს ხშირად თან დავჰყავდი და ეს საშინლად მიხაროდა. მე ჩავიკეცავდი ხოლმე ჩექმებში შარვლის ტოტებს, გადვიკიდებდი კვახს მხარზე და წარმოვიდგენდი ვითომ მართლა და მონადირე ვიყავ. ოფლი წურწურით ჩამოდიოდა, კენჭები ჩექმებში მიცვივოდა, მაგრამ დაღალულობას არა ვგრძნობდი და ერთს ნაბიჯზედაც არ ვშორდებოდი მამაჩემს. რაწამს თოფი გავარდებოდა და ფრინველი ჩამოვარდებოდა ხოლმე, მაშინვე კიჟინით მივვარდებოდი და მაშინ ბედნიერი ვიყავ! დაჭრილი ფრინველი ფართხალებდა, ფრთებს ანძრევდა და ხან მწვანეზედ ეგდო, ხან ტრეზორას პირში ეჭირა; სისხლი უხვათა სდიოდა, მაგრამ მე აღტაცებული ვიყავ და ჩემმა გულმა სიბრალული არ იცოდა, რა არის!

რას არ მივცემდი, რომ მეც სროლა შემძლებოდა, რომ შემძლებოდა მწყრებისა და კაკბების დახოცვა! მაგრამ მამაჩემმა მითხრა, რომ სანამ თორმეტის წლისა არ შეიქნები, თოფს არ მოგცემო; ისიც ერთ-ლულიანი იქნება და მარტო ტოროლებს უნდა ესროლოო. მართლა რომ მრავალი ტოროლა იყო ჩვენსკენ. ქარგს მზიანს დღეში, ცაში ბევრს დაინახავდით ამ ფრინველებს, რომელნიც სულ მაღლა-მაღლა დაფრინავდენ და ზარხავით ჭიკჭიკი გაისმოდა.

მე მათ ისე ვუცქეროდი, როგორც მომავალს ნანადირევს და ვუმიზნებდი ხოლმე ჯოხს, რომელსაც თოფის მაგივრად მხარზედ ვატარებდი. მათი თოფის მოხვედრა ძალიან ადვილია, როდესაც ფრთების ქნევით ერთის საჟენის სიმაღლეზედ მიწას დასტრიალებენ და მერე უეცრად ბალახებში ჩაიმალებიან.

ხანდისხან შორიდამ ნაწვერლებზე, ან სათივეში დავინახავდით ხოლმე ქედნებს: «ოჰ, ვფიქრობდი მე, ნეტა ეს დიდი ფრინველი კი მომაკვლევინა და მასუკან თუნდ სული ამომართვა!»

მე თითით ვანიშნებდი მამაჩემს ამ ფრინველებზე; მაგრამ ის მეტყოდა ხოლმე, ქედანი ჭკვიანი ფრინველია და ადამიანს ახლო არ მიიკარებს. ერთხელ კი სცადა განმარტოებულ ქედანთან მიპარება; ასე ეგონა საფანტ-მოხვედრილია და უკან ჩამორჩენია თავის ამხანაგებსაო. იმან უბძანა ტრეზორას, უკან გამომყევო და მე კი — ადგილიდამ არ დაიძრაო. თოფი მსხვილი საფანტით გასტენა, უკან მოიხედა და ბზანების კილოთი დაბლა უთხრა ტრეზორას: «უკან, უკან!» ძირს დაიხარა და გასწია, მაგრამ პირ-და-პირ ქედნისკენ კი არა, გვერდ-გვერდ. ტრეზორა არ დაიხარა, მაგრამ რაღაც უცნაური სახე კი მიიღო, მრუდე-ფეხებიანსავით წავი-

*) ეს მოთხრობა უკანასკნელი მოთხრობაა ამ ჩინებულის მწერლისა.

ერთობ შეუწუხებია ცარცვა-გლეჯას და ქურდს მიხვედრია... თუ კი ხალხი წინააღმდეგობას უჩენს ვაჭრებს, ჰგავს, მას ძლიერ გასჭირებია ცხოვრება და ამის გამო მოუწადინებია თავის მდგომარეობის გაუმჯობესობა. ქასპელების და მოხევეებისგან ხმარებული ზომა ფრიად მოსაწონია, თუმცა ის დროებითი და არა ნამდვილი საშუალებაა სენის მოსასპობლად; ამიტომაც საჭიროა ხალხისათვის ჯეროვანი შემწეობის აღმოჩენა და საქმის რიგიანს გზაზედ დაყენება, საჭიროა ხალხს მიეცეს ისეთი იარაღი, რომლითაც იგი უფრო ხანგრძლივად და მარჯვედ მოიგერებდეს თავის მტერს; ამ გვარ იარაღათ ჩვენ მიგვაჩნია საზოგადო მაღაზიების, გამსესხებელ და დამზოგველ საზოგადოებათა გამართვა სოფლებში; ამათი გამართვისათვის ეხლა სწორედ მარჯვე დროა, რადგანაც მათს საჭიროებას გვიმტკიცებს თვით ხალხის ცხოვრება და თუ ამ საქმეებში მოთავობა ხალხის ერთგულს და გამოცდილ პირებს ჩაუვარდათ, უეჭველია, ჯეროვან ნაყოფს მოიტანენ.

## შინაური ქრონიკა

განსვენებულის პლატონ იოსელიანის ქვრივს შეუწირავს თბილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის თავის მეუღლის ბიბლიოთეკა, რომელშიაც რვაასამდე სხვა-და-სხვა სახელ-წოდების წიგნია სხვა-და-სხვა ენებზე. ამ წიგნებს შორის მრავალი ძვირფასია ჩვენის ქვეყნის შესასწავლად.

ჩვენ გვითხრეს, ვითომც «შრომა» იანვრიდამ სურათებიან ჟურნალად გადაიქცევა.

ძველი-სენაკიდამ გვწერენ: «ყოველივე სიკეთე, ყოველივე ბედნიერება წაერთვა ძველ-სენაკს რკინის გზის გაყვანის შემდეგ და ნიშნად სიცოცხლისა დარჩა მხოლოდ იარმარკა. იარმარკობა იციან აქ 25 მარტს, ამაღლებას და 1—20 აგვისტომდის. ეს უკანასკნელი იარმარკობა უფრო შესანიშნავია დანარჩენებზე. აქ ნახავ ქართველობას: მეგრელს, იმერელს, გურულს, აფხაზს, ქართლელს, კახელს და სვანს; სხვა ხალხსაც: რუსებს, სომეხს, ებრაელს და ბერძენს.

ამ იარმარკობაზე ყოველ-წლობით დიდი საზოგადოება იკრიფება საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან და დიდი ვაჭრობაც არის.

სავაჭრო საგნებს შეადგენენ უფრო მარილი, მატყლი, აბრეშუმი, ხარი, კამეჩი და ცხენი. წლევანდელი იარმარკობა განსხვავებული იმითი იყო, რომ ნაღდს ფულზე ბევრი არავინ ვაჭრობდა. ვაჭრობა სწარმოობდა გადაცვლ-გადმოცვლაში; ცხენსა სცვლიდენ ხარზე, კამეჩზე, მარილს—ლომზე, სიმიდზე, აბრეშუმს—მატყლზე, ჩითზე. მართალია, წასულ წლებშიაც იყო გადაცვლ-გადმოცვლა, მაგრამ ასე თვალ-საჩინო არასოდეს არ ყოფილა. როგორც ჰხედავთ, საზოგადო უფროსობა ჩვენს მიყრუებულ მაზრასაც დაეტყო.

წასულ-წლებში იარმარკობაზე ყოველდღე 20—40 ქურდს დაიჭერდენ ხოლმე, მაგრამ წელს-კი, ღვთის მოწყალებით, ქურდობა სრულებით არ ყოფილა.

რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ ესენტუკის წყლების რიგიანად მოსაწყობად მოწვეულია ფრანცუზი ინჟენერი დრიო, რომელიც ამ საქმეში ძალიან დახელოვნებულია.

ბათომში სდგება ნავთის-მწარმოებელი საზოგადოება ნობელის სახელზედ. ამ საზოგადოებაში მიიღებენ მონაწილეობას უცხო ქვეყნელებიც. ერთის პარიჟელის ფირმის დირექტორი კიდეც გამომგზავრებულა ამ საქმის გასაცნობად და ამ ჟამად ბერლინში არისო.

გაზეთს «თერგსა» სწერენ, რომ ყაბარდოელებში საშინლად გავრცელებულა ცუდი ავად-მყოფობა. ავად-მყოფებს რაკი არ ესმით, როგორ გადამდებია ეს სენი, თავისუფლად იქცევიან სახლებში და ხშირად მთელს ოჯახში ავრცელებენ ამ ავადმყოფობას. თუმცა ეს ასეა, მაგრამ არსად არ არის არც ლაზარეთი და არც ექიმები არიან სადმე, რომ რჩევა მისცენ ხალხსა.

ეხლა ჩვენს ქალაქში, აგრეთვე როგორც სოფლებში, ცხენების აწერაა დანიშნული. ამ საქმის გამგე კომისია აცხადებს, რომ ეს ცხენების აწერა და გასინჯვა იმიტომ კი არა ხდება, რომ ცხენები ეხლავე გარეკონ არამედ იმიტომ, რომ მთავრობამ მხოლოდ მაშინ გაიყვანოს ეს ცხენები, როდესაც სამხედრო საჭიროება მოითხოვს რასაკვირველია, ღირებულ ფასის მიცემის შემდეგ.

## რუსეთი

— იწერებიან, რომ ფაბრიკის ინსპექტორებად პირველ ხანებში დაინიშნებიან იმისთანა პირნი, რომელთაც ტეხნიკური განათლება მიუღიათ და რუსეთის ფაბრიკის კანონდებულება იციან. შემდეგ, როცა ინსპექტორული ზედამხედველობა წარმარტებაში წავა, მაშინ იმ პირთა, რომელნიც ისურვებენ ამ თანამდებობათა აღებას, გამოსცდიან სპეციალურად დანიშნულს სახელმწიფო საეგზამენო კომისიაში.

— როდესაც ამ წლის სალდათების აკრეფის დრო მოვა, საზოგადო სამხედრო გადასახადს დააწესებენ ზოგიერთს იმ ადგილებშიც, სადაც აქამდინ არ იყო.

— ბუნების გამომეძიებელთა კრებაზედ ოდესაში, სხვათა შორის, ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ რუსეთში ძლიერ გავრცელებულია სიფილისი, რომელიც, ჯერ თუ არ გამხდარა, შეიძლება გახდეს სახელმწიფო საქმედ. მართლადაც, ზოგიერთა რუსეთის ადგილებში თითქმის 25 პროცენტსა სჭირს ეს ავად-მყოფობა და რადგანაც რუსეთის სტატისტიკა მეტად კოჭლობს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიფილისიანების რიცხვი უფრო მომეტებულია, ვიდრე ოფიციალურად არის ნაჩვენები. კიევის უნივერსიტეტის პროფესორმა სტუკო-

---

და, კუდსა მაღლავდა და ქვემო-ტუჩისათვის კბილები მოეჭირა. მე ვეღარ მოვითმინე და თითქმის ხოხვით გავყევ მამაჩემს და ტრეზორას. მაგრამ ქედანმა სამასს ნაბიჯზედაც არ მიგვიშვა; ჯერ გაიქცა, მერე ფრთა-ფრთას შემოჰკრა და გაჰფრინდა. მამაჩემმა ესროლა და ყურება დაუწყო, როგორ მიჰფრინავდა. ტრეზორა წინ გადახტა და ისიც ყურებას მოჰყვა. მეც ვუყურებდი და გული მიწუხდა ჯავრისაგან; ცოტას ვერ მოიცდიდა, მაშინ მამა ხომ აღარ ააცდენდა!

ერთხელ კიდევ მე და მამაჩემი სანადიროდ წავედით. ეს იყო პეტრე-პავლობის წინა დღეს. ამ დროს კაკბის ბარტყები პატარები არიან; მამაჩემს არ უნდოდა მათთვის ხელი ეხლო. მამაჩემი მუხის ბუჩქნარში შევიდა, ერთის ყანის ახლო, სადაც ყოველთვის მწყერი იცოდა. რადგან ამ ბუჩქნარში თივა მოუხერხებელი იყო, თავისუფლად კაი ბალახი ამოსულიყო—და ფერად-ფერადი ყვავილები ამკობდენ იქაურობას: გარეული მუხუნდო, იონჯა, გარეული მიხაკი და სხვ. როცა ამ ადგილას მე და ჩემი და მივდიოდით, ან ჩვენი მოახლე, მთელს იღლიას მოვიტანდი ხოლმე შინ ყვავილებისას; მაგრამ როცა მამაჩემთან ერთად ვიყავი, ყვავილებს ხელს აღარ ვახლებდი, ეს საქმე მე მონადირისათვის ულირს საქმედ მიმაჩნდა.

უეცრად ტრეზორა შესდგა. მამაჩემმა დაუყვირა: «დაიჭი!» და ცხვირწინვე ტრეზორას ერთი მწყერი წამოუფრინდა. საოცრად მიფრინავდა ეს მწყერი: ყირამალა გადადიოდა, ტრიალებდა, მიწაზედ ეცემოდა, თითქო ფრთაში დაჭრილიაო. ტრეზორა მისდევდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა... ამას ის არ ჩადიოდა ხოლმე, როცა ფრინველი ჩვეულებრივ მიჰფრინავდა.

მამაჩემმა არ გაისროლა თოფი, ეშინოდა ძაღლსაც არ მოჰხვდესო. უეცრად ტრეზორა გადახტა, მწყერს პირი სტაცა და მამაჩემს მოუტანა. მამაჩემმა აიყვანა და ხელის გულზე გულ-აღმა დასდო. მე მაშინვე მივვარდი.

— რა ამბავია, მამა, დაჭრილი ხომ არა ყოფილა?

— არა, მაგრამ აქ სადმე ბუდე უნდა ჰქონდეს და ბარტყები ჰყავდეს, მიპასუხა იმან. დაჭრილობა იმიტომ მოიგონა, რომ ძაღლი მოეტყუებინა, ადვილად დასაჭერი ვაროო.

— რათა ჰქნა მერე ეგრე?

— იმიტომ რომ ძაღლი ბარტყებისათვის მოეშორებინა;—მერე უეცრად ფრთას-ფრთაზე შემოჰკრავდა და გაჰფრინდებოდა. მაგრამ ეხლა კი საქმე კარგად ვერ მოუხდა; უნდოდა ტრეზორა მოეტყუებინა და თითონ კი გაება მახეში.

— მაშ დაჭრილი არ არის?

— არა... მაგრამ ვეღარ კი იცოცხლებს... ტრეზორას კბილი მოუხვედრებია.

მე მივედი ახლო, რომ მწყერი კარგად დამეთვალიერებინა. ის უძრავად თავ-ჩამოკიდებული იდვა მამიჩემის ხელის გულზედ; ამღვრეული თვალი თითქო ჩემსკენ იცქირებოდა. უეცრად სიბრალულმა ამიტანა. წარმომიდგა, თითქო საბრალო ფრინველი მე მიცქეროდა და ჰფიქრობდა: რად უნდა მომკვდარიყავ, რა დავაშავე? განა ჩემი მოვალეობა არ შევასრულე? მე მინდოდა ჩემი ბარტყები გადამერჩინა, ძაღლი მომეშორებინა და თავი კი გავწირე. რა სჯულდათ, რას მერჩოდენ მე საცოდავსა! ეს სამართლიანი საქმე არ არის, არა!

— მამა, იქნება არ მოკვდეს! ვსთქვი მე და დავუწყე თავზე ალერსი პატარა ფრინველს.

— არა, შვილო, აღარ მორჩება. აი ეხლავე ფეხები გაუშეშდება, ტანი აუთრთოლდება და თვალებსაც დაჰხუჭავს. შეხე, შეხე!

მართლა რომ ასეც მოხდა. თვალები რომ დახუჭა, მე ტირილს მოვყევ.

— რა გატირებს? მკითხა მამაჩემმა სიცილით.

— მეცოდება ეს საბრალო... თავის მოვალეობა შეასრულა და თავი კი გასწირა. ეს სამართლიანი საქმეა, განა?

— რა ვუყოთ, შვილო, ეგა და ტრეზორა ეშმაკობაში შეიჯიბრენ და ტრეზორა უფრო ხერხიანი გამოდგა.

— ტრეზორა ბოროტია! ვიფიქრე მე... (ამ დროს გამიელვა აზრმა, რომ მამაჩემიც კეთილის გულისა არ უნდა ყოფილიყო) აქ ეშმაკობას რა ხელი აქვს! ეს თავის კარგი ბარტყების სიყვარულმა აქმნევინა და არა ეშმაკობამ. რად მოხდა ისე, რომ ტრეზორამ პირი სტაცა მაშინ, როდესაც ის თავის ბარტყების შველასა სცდილობდა.

მამაჩემმა დააპირა მწყერის სანადირო პარკში ჩადება, მაგრამ მე ვთხოვე ჩემთვის მოეცა. მე ხელში ავიყვანე, სული ჩავბერე იმ იმედით რომ ეგება გაცოცხლებულიყო, მაგრამ მწყერი არცკი გაინძრა.

— ტყუილათა სცდილობ, შვილო, მითხრა მამაჩემმა. შენ მაგას ვეღარ გააცოცხლებ. ხომ ჰხედავ თავი როგორ ჩამოუკიდნია?

— მე მოვკიდე ნისკარტზე ხელი და თავი ავუწიე, მაგრამ რაკი მივუშვი, ისევ ისე ჩამოეკიდა.

— კიდევ გეცოდება? მკითხა მამაჩემმა.

ვენკოვმა, რომელიც ამ საქმის მომხსენებლად არის კრებაზე, სთქვა, რომ ეს კითხვა მეტად ძნელი კითხვა არისო, ამას თითქმის ხალხთაშორისმა მკურნალთა კონგრესმაც კი, რომელიც პარიჟში იყო, ვერა მოუხერხარა და სთხოვა, კრებამ ეხლავე გარდასწყვიტოს, რომ შემდეგს ყრილობაზე ყველაზე პირველად ამ სენის საქმე და მისი მოსასპობელი ზომები განიხილოსო. საჭიროა ეს იმიტომ, რომ ექიმებს მიეცეთ ღონისძიება საჭირო საბუთების შეკრებისა ამ საქმის გარდასაწყვეტლადაო. სტუკოვენკოვის აზრით, რუსეთში ჯერ არ მოიპოვება ფართო, ძლიერი და ენერგიული ზომები სიფილისის წინააღმდეგ.

— მინისტრთა კომიტეტის დებულებით ქალაქი სარატოვი და მისი მაზრა «გაძლიერებულ მეთვალ-ყურობის» მდგომარეობაში გამოუცხადებიათ.

— პეტერბურგიდგან იწერებიან, რომ ამ უკანასკნელს დროს ზოგიერთა მაღაზიებში შაქრის ფასს 22 კაპეიკიდამ 21-ზე დაუწევია. ხმებია, ვითომც ამ ცოტა ხანში დააწესებენ გირვანქა შაქარზე 21-ს კაპეიკსაო.

— ზოგიერთა მოსკოველს თანხის პატრონებს, როგორც ამბობენ, გარდაუწყვეტიათ გამოსცენ პეტერბურგში ერთი დიდი გაზეთი. ხმებია, რომ ბეჭვდის საქმეთა მმართველობაში ამის შესახებ თხოვნა იქნება შეტანილიო.

— გაზეთები სწერენ, რომ 5 ამ თვისას ყოფილა მოსკოვში პედაგოგიური რჩევა მოსკოვის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის თავმჯდომარეობით და ამ უკანასკნელს წევრებით ცემის შემოღების წინააღმდეგ ულაპარაკნია.

— მოსკოვის უწყებებში დაბეჭდილია ლავროვის წერილი, რომელსაც ჩვენ აქ სიტყვა სიტყვით ვბეჭდავთ:

«ტურგენიევის სიკვდილის შემდეგ — სწერს ლავროვი — არამ თუ არ ვხედავ საჭიროდ დავფარო, არამედ ჩემს მოვალეობად ვსთვლი გამოვაცხადო ის ფაქტი, რომელიც აქამდინ მარტო მე და კიდევ სხვა რამდენიმე პირმა ვიცოდით. როდესაც 1874 წელსა, გადავიტანე მე რედაქცია სოციალისტური და რევოლიუციონური რუსული ორგანის Впередъ!-ისა ციურიხიდამ ლონდონში, ტურგენიევმა თავისი საკუთარი სურვილით აღმითქვა შველა ამ ორგანის გამოცემაში; მერე შემდეგი სამის წლის განმავლობაში, ე. ი. ვიდრემდის მე რედაქტორად ვიყავ, იმას ყოველ წლივ შემოჰქონდა გამოცემის კასაში ხუთასხუთასი ფრანკი.

## უცხოეთი

— ინგლისის გაზეთის «დელ ნუს» კორესპონდენტმა ნახა საფრანგეთის მინისტრი-პრეზიდენტი ჟულ-ფერი, რომელმაც გამოუცხადა მას, რომ საფრანგეთს ტონკინში მხოლოდ მშვიდობიანობის სურვილი აქვსო და ჰსურს მას გადააკეთოს ეს პროვინცია მხოლოდ მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად, და არა საფრანგეთის კოლონიადაო.

— ხორვატიიდამ ახლა უფრო კარგი ამბები მოდის. როგორც გაზეთებში იწერებიან, სამის დღის განმავლობაში, 11-დამ 15 სექტემბრამდინ, უწესოება არსად მომხდარა. ბევრი ხალხი დაატუსაღეს სხვა-და-სხვა ადგილებში და საქმის გამოძიება დაუწყიათ; რაც შეეხება მოძრაობას სამხედრო სამზღვარზე, როგორც ოფიციალური ცნობები ამტკიცებენ, იქ გაგზავნილს ჯარებს მშვიდობიანობა დაუმყარებიათ.

— ციურიხიდამ იწერებიან: «იმ დროს, როდესაც ბერნში ხალხთაშორისი ლიტერატურული კონგრესი იყო, ამავე დროს ციურიხში წარსულ კვირას მუშათა კონგრესიც შეიკრიბა. ამ კონგრესზე 170 წარმომადგენელი (делегатъ) იყო. პრეზიდენტებად ამოირჩივეს კონზეტი და ბერნშტეინი. გადასწყვიტეს დააფუძნონ ცენტრალური ორგანიზაცია ყველა მუშებისათვის. ციურიხი ექმნება ამ საზოგადოებას ყრილობის ადგილად. კრებაზე ბევრი რეზოლიუცია იქმნა მიღებული; სხვათა შორის იმაზედაც, რომ ფაბრიკის პატრონების პასუხის-გება უფრო მეტი იყოს; გარდაწყვეტილია, ეთხოვოს შვეიცარიულს კავშირს, რათა მან იშუამდგომლოს სხვა სახელმწიფოთა წინაშე და სთხოვოს მიღება, ხალხთა-შორის კანონდებულების მიღება შესახებ ფაბრიკებისა; გარდასწყვიტეს აგრეთვე, შეადგინონ ხალხთა-შორისი მუშების ორგანიზაცია, რომლის საგნად უნდა იყოს ის, რომ როგორმე დააწესებინონ ყველგან ამ წოდებისთვის ერთნაირი კანონები.

## ბიბლიოგრაფია

ქართული კლასიკები: № I ჩახრუხაძე, № II შავთელი. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

ოთხი თვე გავიდა მას აქეთ, რაც ეს განყოფილება ობლად არის ჩვენს გაზეთში; ოთხი თვე, რაც რიგიანი ქართული წიგნი არ უნახავს ჩვენს საზოგადოებას (გარდა ვეფხვის ტყაოსნის ახალის გამოცემისა). ოთხის თვის წინად მკითხველს გავაცანით მიკროსკოპიული ორგანიზმები, გამოცემული ზ. ზ. ჭიჭინაძისაგან; ეხლა უნდა გავაცნოთ ორი ჩვენი კლასიკი იმავე დაუღალავის გამომცემლისაგან გამოცემულნი. რას ნიშნავს ესა? ნუ თუ ისე გაღატაკდა ჩვენი ლიტერატურა, რომ ზ. ზ. ჭიჭინაძეს მეტი გამომცემელი ვერ იპოვნა? ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ასეა და თუ ვინმე უფრო სინიდისიანი გამომცემელი ჰკიდებს ხელს რომელიმე სასარგებლო წიგნის გამოცემას, იმდენი ხანი უნდა დასტრიალებდეს თავსა, იმდენი უნდა გვალოდინოს, რომ ბოლოს საქმე ისევ საჭიჭინაძოდ გახდოს.

ეხლა წინ გვიწყვია ორი პატარა წიგნი, რომელთ ავტორნი დიდებულ შოთას თანამედროენი იყვნენ. ამ გვარი წიგნების გამოცემა ფრიად სასარგებლოა ლიტერატურის ისტორიისათვის და დიდს მადლობას ვეტყოდით ზ. ზ. ჭიჭინაძეს რომ შესძლებოდა ამ წიგნების შესაფერად გამოცემა, ე. ი. წესიერის განმარტებით, წინასიტყვაობით, ავტორების ბიოგრაფიით; მაგრამ ეხლა კი დავსცქერით ამ ორს უშნო გამოცემას და დიდი კითხვის ნიშანი გვეხატება სახეზედ. მართლაც და ვისთვის და რისთვის არის ეს წიგნები საჭირო? არც ერთი უბრა-

---

— ეხლა ვინ მისცემს საზრდოს მაგის ბარტყებს? ვუთხარ მე პასუხის მაგივრად.

— მაგისი ნუ გეფიქრება; მამალი მწყერი მიუტანს საზრდოს, იმათი მამა. მაგრამ მოიცა... აი ტრეზორა კიდევ შესდგა. იქნება ბუდეა აქა?.. სწორედ ბუდე ყოფილა.

მართლაც... ბალახებში, ტრეზორას ცხვირს ახლო, მე დავინახე ოთხი ბარტყი, რომელთაც კისერი წინ წამოეწიათ და ერთმანერთთან მიკუჭულიყვნენ; ისე ჩქარ-ჩქარა სუნთქავდენ, რომ კაცს ეგონებოდა, კანკალს აუტანიაო. ბურტყლის მაგივრად ფრთები კიდეც გამოსვლოდათ, მაგრამ კუდები ჯერ კიდევ მოკლე ჰქონდათ.

— მამა, მამა დავიყვირე მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, ტრეზორას დაუძახე, თორემ მაგათაც დახოცავს; მამაჩემმა ტრეზორა მოიხმო და ერთს ჯაგთან ჩამოჯდა საუზმის საჭმელად. მე კი ბუდესთან დავრჩი, ჭამის ჯავრი არა მქონდა. ჯიბიდამ თეთრი ხელსახოცი ამოვიღე და ზედ მწყერი დავდე... «უყურეთ საბრალო ობლებო, აი დედა თქვენი, რომელმაც თქვენთვის თავი გასწირა!» ბარტყები წეღანდელსავით ჩქარ-ჩქარა სუნთქავდენ და მთელი ტანი უთრთოდათ. მასუკან მამაჩემს მივუახლოვდი.

— უნდა ეს მწყერი მე მაჩუქო, ვუთხარი მე.

— თუ გესიამოვნება, ბატონი ხარ... მაგრამ რა გინდა უყო?

— მინდა დავმარხო.

— დამარხო?

— ჰო, დავმარხო, აქვე ბუდესთან. მომეცი დანა, მინდა საფლავი ამოვუთხარო.

— იმისათვის თუ, რომ იმისმა ბარტყებმა საფლავზედ ილოცონ ხოლმე? მითხრა გაოცებით მამაჩემმა.

— არა, მაგრამ მე ეს მესიამოვნება. ისიც კარგად იქნება აქ, თავის ბარტყების გვერდით.

მამაჩემმა მონახა თავისი დანა და ხმის ამოუღებლად მომცა. მე მაშინვე საფლავის გათხრას შევუდექი. ვაკოცე მწყერს გულზე, ჩავდე საფლავში და ზედ მიწა მივაყარე. მერე იმავე დანით ბუჩქზედ ორი შტო მოვჭერი, კანი გავაცალე, გადავაჯვარედინე, ბალახით შევკარ და საფლავზედ გავუკეთე.

მე და მამაჩემი მალე წამოვედით. მაგრამ ყოველს ნაბიჯზედ უკან-უკან ვიხედებოდი... ჯვარი თეთრი იყო და შორიდამაც კარგად მოჩანდა.

მეორე ღამეს მე სიზმარი ვნახე: მე ვნახე, რომ ცაში ვიყავი და ჩემი მწყერიც იქ დავინახე, პატარა ღრუბელზედ იჯდა, მაგრამ ისე თეთრი იყო, როგორც ჯვარი. თავზედ ოქროს პატარა შარავანდედი ადგა, ალბად იმის ჯილდოდ, რომ თავის პატარებს თავი შესწირა.

ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ მე და მამაჩემი იმავე ადგილას მივედით. საფლავის ადგილი ჯვარმა მაპოვნინა, რომელიც ცოტა გაყვითლებულიყო, თუმცა ისევ სწორედ იდგა. მაგრამ ბუდე ცარიელი დამხვდა, ბარტყები არსადა სჩანდენ. მამაჩემმა დამარწმუნა, რომ მამალი მწყერი სხვაგან წაიყვანდიო; და როდესაც პატარა ხანს უკან ეს მწყერი ერთის ბუჩქიდამ ამოფრინდა, მამაჩემმა თოფი აღარ ესროლა... მაშინ ვიფიქრე: «არა, მამაჩემი ბოროტი კაცი არ არის!»

საკვირველია, ამ დღიდამ ნადირობის ხალისი სრულებით დამეკარგა და იმ თოფზედაც კი აღარა ვფიქრობდი, რომელსაც მამაჩემი დამპირდა. მასუკან, როცა გავიზარდე, მართალია, ვნადირობდი ხოლმე, მაგრამ ნამდვილი მონადირე კი ჩემს დღეში ველარ გავხდი.

## II

ერთ დღეს მე და ჩემი ერთი ამხანაგი ერთად ვნადირობდით ტყის-ქათმებზედ. ჩვენ შევხვდით დედას თავის დაფრენილი ბარტყებით. დედა აფრინდა და ჩვენ ვესროლეთ; დაიჭრა, მაგრამ არ ჩამოვარდნილა; შორს წავიდა და თავის ბარტყებიც თან გაიყოლია. მე მინდოდა დავდევნებოდი.

— აქ დავრჩეთ, მითხრა ჩემმა ამხანაგმა; იმასავით ყვირილს მოვყვეთ და ყველანი აქვე მოფრინდებიან.

— ჩემმა ამხანაგმა კარგად იცოდა ტყის-ქათმების ხმის გამოჯავრება. ჩვენ დავსხედით, ჩემი ამხანაგი მოჰყვა ფრინველსავით ძახილს და მალე ერთმა ბარტყმა ხმა გამოსცა, მერე მეორემ, მასუკან თითონ დედამაც, რომელიც ნაზად ჩვენს ახლო კაკანებდა... მე ავიხედე მაღლა და ბალახებში დავინახე რომ ის საჩქაროდ ჩვენსკენ მოდიოდა; გული დასისხლიანებული ჰქონდა. ეტყობოდა, — გულმა ველარ გაუძლო და უნდოდა ჩვენი ყურადღება თავისზე მიექცია და შვილები გადაერჩინა. ამ დროს მე საშინელი საქმე მოვიქმედე: წამოვხტი და ხელი ხელს შემოვკარ. დედა მაშინვე გაფრინდა და პატარებიც გაჩუმდენ და მიიმალნენ. ჩემი ამხანაგი ისე საშინლად გაჯავრდა რომ ჰკუაშეშლილი დამიძახა.

— ნადირობამ სრულებით ფუჭად ჩაგვიარა, მითხრა იმან გაკაპასებულმა.

ამ დღიდამ ხოცვა და სისხლის დაქცევა უფრო და უფრო საზიზღარ საქმედ მეჩვენებოდა.

ლო მკითხველი, დიაღ, არც ერთი, — ამას ვამბობთ და არც შევინანებთ, ამ წიგნებს არ წაიკითხავს და არც ერთი ლიტერატურის მოყვარე მათში არ ჩაიხედავს, რადგან ლიტერატურის ისტორიას ამ გამოცემებთან ხელი არა აქვს.

თუმცა ანტონ კათალიკოზი ამბობს:

«ჩახრუხაის-ძე, უცხო პიიტიკოსი,
«თამარ დიდისა მმკობი შაირებითა,
«შოთას შაირთა, თუ ჰსთქვა, უკეთესთაცა
და სხვ.»,

და ჩვენც შეიძლება დავეთანხმოთ კათალიკოზს, რომ ჩახრუხაძე მართლა პიიტიკოსიც იყო, რიტორიც, მაგრამ პოეტობის ნიშან წყალს კი სრულიად მოკლებული ყოფილა. ესევე ითქმის შავთელზე. ორთავ ამ «კლასიკებს» იმდენათ აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ეს საჭიროა შოთას დროის გარემოების ასახსნელად, როგორც ვარსკვლავებთან მოთამაშე რაშის ღირსების გასაგებად საჭიროა ჯაგლაგი ცხენების უხეირო სიარულიც გაცნობილი გქონდეს. სამს ამ თანამედროვე მწერალს: შოთა რუსთაველს, ჩახრუხაძეს, შავთელს ერთი და იგივე საგანი აქვთ, ერთსა და იმავე არსებას აქებენ, ერთსა და იმავე თამარ მეფეს უმღერიან, მაგრამ რა განსხვავებაა მათ პოეზიას შორის, თუ კი შავთელისა და ჩახრუხაძის ნაძალადევს ლექსებს პოეზიის სახელის ღირსად გავხდით.

როდესაც შავთელი ამბობს:

„უსწრო ხარანით, გაიხარანით
„მათ მწიკვლის მკლებარს არდამმაჟისა,
„მზგავს ამანჟისა, არ ამანჟისა,
„უფროს მჭვრეცელობს, ანდამანჟისა“

და ჩახრუხაძე უმატებს:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
„ხმა ნარნარი, პირ-მცინარი,
„მზე მცინარი, საჩინარი,
„წყნარი, მქნარი, მომდინარი“,

მხოლოდ მაშინ იგრძნობს კაცი კარგად რუსთველის სულთა-მბრავის კალმის მლიერებას, მაგ. თამარის ბადლის თინათინის აღწერაში.

„გაცრცვილსა ტანსა ემოსნეს
„ყარყუმნი უსაპირონი,
„ებურნეს მოშლით რიდენი
ფასისა თქმად საჭირონი,
„ჰშვენოდეს შავნი წამწამნი
გულისა გასაგმირონი,
„მას თეთრსა ყელსა ეჰკვნეს...
გრძლად თმანი არ უხშირონი“

რაც შეეხება გარეგანს მხარეს ამ გამოცემებისას, უნდა ვსთქვათ, რომ მათ ეტყობათ სრული უყურადღებობა გამომცემლისა. შავთელს თითქმის მთელი თავისი ლექსთა-თხზულება ხმაზე აქვს დაფუძნებული და დაბეჭდილში ხმები აშკარად უნდა სჩანდეს მარცვლების წესზე დაყოფით, მაგრამ ამისთვის ყური არავის უთხოვებია. კორექტორი ამ წიგნებს არა ჰყოლიათ და ერთს ალაგს იმისთანა საქმეც დამართვიათ, რომ ვიდასაგანაც ჩამატებული სიტყვა «გასწორეს», რომელიც ალბად მცოდნე პირისაგან გამომცემლისადმი იყო მიმართული, შიგ ლექსში მოჰყოლია (იხ. «შავთელი» გვერდი 34). იმათ, ვინც არ იცის, როგორ მრავალ-მომთმენია ქაღალდი და როგორ ჩუმად იტანს ყოველ გვარს უგზურობას, ვურჩევთ თავიდამ ბოლომდე წაიკითხონ გამომცემლის წინასიტყვაობა ჩახრუხაძის წიგნის თავში მოქცეული.

## განცხადებანი

ქუკიაში ისყიდება ორი სახლი ბანკის ვალით: ა) ნიკოლოზის (ნიკოლაევსკის) ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვითკირისა სარდაფით და ეზო 200 კვადრ. საჟ., და ბ) აგურის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი მეზონინით ქვითკირისა და ეზო 300 კვადრ. საჟ. გაყიდვის პირობების შეტყობა შეიძლება თბილისელს ნოტარიუსს ი. ი. პოლტორაცკისთან. (3—1)

თბილისის პირუტყვთათვის მზრუნველი საზოგადოების წევრნი მოიწვევიან ჩვეულებრივ წლიურს საერთო კრებაზედ სექტემბრის 20-ში, დილის $12^1/_2$ საათ. სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, საქალაქო ბაღში. ამ კრებაზედ დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ.

კრება განიხილავს:

1) საზოგადოების წარმოების ანგარიშს.

2) მედლების დარიგებას.

3) მმართველობის ამორჩევას.

4) ნ. პ, ილინი წაიკითხავს «ქალაქში ფრინველების გაშენების მნიშვნელობაზედ». (3—1)

ვისაც სურდეს ქუთაისის გუბერნიაში მამულის გაყიდვა 1000 დესიატინისა, ან მეტისა, მიმართოს თბილისის კანტორაში ვ. თ—მის ნესტეროვისა. (10—9)

## ინგლისის მაღაზია

**Maison de confiance**

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| - — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

II

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—36)

## ს ტ ა მ ბ ა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—19)

ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

### თმის - ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—41)



### მაკ - მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სნოტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ს ა ვ ლ ო ბ უ ს ო 

კ ა ლ მ ე ბ ი

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად-ერთი სააგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“ — 25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მარატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისა იატაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაჟკი—20 კ. (100—82)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ძვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16 Сентября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ვ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.